საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აგრძელებს ენერგოეფექტური პროექტების განხორციელებას და საკუთარი წვლილი შეაქვს ბიზნესის მდგრად განვითარებაში

"ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყანაში ენერგოეფექტურობის განვითარება. ამ მიმართულებით ბაზარზე უკვე წლებია აქტიურად ვმუშაობთ. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ამჟამად მუშაობს ქარის წისქვილების პროექტზე და ძველი, დაბალი ეფექტურობის თბოელექტროსადგურის ახალი მაღალეფექტურით ჩანაცვლებაზე. ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროექტები ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, ასევე უკეთესი გარემოს შექმნას, რაც განაპირობებს ქვეყნის მომავალ განვითარებას."

The FINANCIAL-თან ინტერვიუში საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ემირიძემ ისაუბრა კომპანიის წვლილზე საქართველოში მწვანე ბიზნესის განვითარებაში. მან ხაზი გაუსვა იმ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს, რომლებიც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ენერგოეფექტურობაზე.

შეკითხვა: რა არის თქვენი კომპანიის მთავარი მიზანი და ხედვა ბაზრისთვის?

პასუხი: საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) არის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ჯგუფი საქართველოში. მისი მთავარი ხედვაა, ჩამოყალიბდეს წამყვან ინდუსტრიულ ჯგუფად საქართველოში, რომელიც საქართველოს მომავალში ინვესტიციების გზით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ხარისხისა და საიმედოობის მიმართულებით. ჩვენ წარმოდგენილი ვართ რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ყაზახეთში და უკრაინაში. ჩვენი საინვესტიციო პორტფელი მოიცავს რამდენიმე ქვეყანაში ენერგეტიკულ სექტორს, სამრეწველო და სამშენებლო მასალების წარმოებას. გვყავს არაერთი ბიზნეს პარტნიორი, მათ შორის ჯანდაცვის, დაზღვევის, სკოლების და სხვა მრავალფეროვან სფეროებში.

შეკითხვა: რას აკეთებს GIG ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით?

პასუხი: ჩვენი ჯგუფი წლების განმავლობაში ორიენტირებული იყო ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის პროექტებზე. ასევე განვახორციელეთ საბჭოთა წარმოების საჭრელი მანქანა-დანადგარების არაერთი გადაიარაღება. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც

წარმოების ეფექტურობა, ასევე გარემოსდაცვითი საკითხები. GIG აქტიურად აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგოეფექტურობას.

ასევე იხილეთ "**50 000**-მდე ხე და ნერგი დავრგეთ"

შეკითხვა: რა არის თქვენს მიერ განხორციელებული ძირითადი პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო ბიზნესის მდგრად განვითარებას?

პასუხი: GIG-ის ერთ-ერთი წამყვანი საინვესტიციო მიმართულება არის ენერგოეფექტურობა; შესაბამისად, ამ მიმართულებით არაერთ პროექტს ვახორციელებთ. წლების წინ ჩვენ განვახორციელეთ ინვესტიცია განახლებად ენერგიაში უკრაინაში, ავაშენეთ მზის ელექტროსადგური, რომელიც წლების განმავლობაში ინტენსიურად და წარმატებით ფუნქციონირებს. ხაზგასმით გვინდა გამოვყოთ ის ფაქტი, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ომის დროს, ეს სადგური ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა; თუმცა, ამის მიუხედავად, სადგურს არასოდეს შეუწყვეტია ელექტროენერგიის მიწოდება ქვეყნის ენერგო ქსელებისთვის.

საქართველოში გვაქვს გრძელვადიანი გეგმები ბიზნესის მდგრადი განვითარების კუთხით, რაც გულისხმობს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. წლის ბოლომდე საქართველოს მასშტაბით ჩვენს თითქმის ყველა ობიექტზე ვგეგმავთ მზის სადგურების დამონტაჟებას, რაც უზრუნველყოფს ამ ობიექტების სრულ ელექტრომომარაგებას.

შეკითხვა: რა არის GIG-ის მოკლე და საშუალოვადიანი გეგმები და პროექტები, რომლებიც უნდა განვითარდეს მწვანე ბიზნესის კუთხით?

პასუხი: ამჟამად ჩვენმა ჯგუფმა დაიწყო მზის ელექტროსადგურების დამონტაჟება თავის ობიექტებზე საქართველოს მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს ამ ობიექტების სრულ მომარაგებას ელექტროენერგიის მდგრადი წყაროებიდან. უახლოეს მომავალში GIG გეგმავს დაეხმაროს სხვადასხვა კომპანიებს საქართველოს მასშტაბით მსგავსი პროექტებით და უზრუნველყოს მზის სადგურების დამონტაჟება მათ ინფრასტრუქტურაში, რაც გაზრდის ენერგოეფექტურობას და მნიშვნელოვან, დადებით გავლენას მოახდენს გარემოზე. GIG ასევე მუშაობს ქარის წისქვილების პროექტზე და ძველი, დაბალი ეფექტურობის თბოელექტროსადგურის ახლით, მაღალი ეფექტურობის თბოელექტროსადგურებით ჩანაცვლებაზე. მიგვაჩნია, რომ ეს პროექტები ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის ენერგეტიკულ

დამოუკიდებლობას, ასევე უკეთესი გარემოს შექმნას ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

ასევე იხილეთ: ეკოლოგიურად სუფთა ბიზნესის წარმოება ხელს უწყობს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას

გვჯერა, რომ მწვანე და განახლებადი ენერგია ხელს შეუწყობს ქვეყნის გრძელვადიან, ეფექტურ განვითარებას. ამისთვის უნდა მოხდეს კერძო და საჯარო სექტორის კონსოლიდაცია, რაც უზრუნველყოფს სწორი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ეს ყველაფერი გრძელვადიანი ეფექტური განვითარების ნიშანია და დადებითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკურ, ისე ეკოლოგიურ პროგრესზე.